№ 78

1877—1898

№ 78

სამშაბათი, 14 აპრილი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

# ივერია

სამშაბათი, 14 აპრილი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პ-რველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ ძოსახერხებლადა სცნო დაიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

## თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 25 მაისამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

ქალაქს გარეშე მყოფთათვის ადრესი: Тифлисъ. Грузинское издательское Товарищество.

(50—б.—19)

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ი. თ. შროტასხევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შმაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

### მთავრობის განკარგულებანი

—

უმაღლესის ბრძანებით, უგანათლებულესის თავადის ასული, ეკატერინე გრიუზინსკისა დაინიშნა მათის უდიდებულესობის დედოფალ იმპერატრიცების სეფე ქალად.

ებოძათ ორდენი წმ. სტანისლავისა მე 2 ხარისხისა: ყარსის სამაზრო ხაზინადარს დიმიტრი კიკნაძეს და ბაქოს საკარანტინო—სადამოჟნო კანტორის გემების ზედამხედველს კოლეჟსკი ასესორს ნესტორ ცაგარელს; ორდენი წმ. მოციქულთა სწორის ვლადიმერის მე 4 ხარისხისა—მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის სამოსამართლო და სამაჯვნო საქმეთა იურის კონსულტის თანამდებობის აღმასრულებელს, ნადვორნი სოვეტნიკს გაბრიელ საყვარელიძეს.

## ახალი ამბავი

*** როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ყოვლად უსამღვდელოესმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ უმაღლესი ალაგი მიიღო და ტფილისიდგან გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გადაყვანილი. პატივის-მცემელნი იმისის ხანგრძლივის ჩვენის ქვეყნისათვის დიდად სასარგებლო მოღვაწეობისა სასულიერო განათლებასა და საქველ-მოქმედო ასპარეზზედ აპირობენ მიართვან პატივცემულს ეპისკოპოსს სახსოვრად კვერთხი. რადგან მრავალმა ხალხმა, წოდების განურჩევლად, მოისურვა მონაწილეობა მიიღოს ამ სახსოვრის მირთმევაში და რედაქციას ბევრმა მიჰმართა, სად შევიტანოთ ამ საქმისათვის საჭირო ფულიო, ამითი ვაუწყებთ ფულის შემოტანის მსურველთ, რომ ფულის წარმოდგენა შეუძლიანთ „ივერიის“ რედაქციაში, საიდგანაც ბარათს მიიღებენ ფულის წარდგენისას.

*** ორშაბათს, 13 აპრილს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში კრება ჰქონდა ტფილისის მაზრის თავად-აზნაურობას ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ და კრებამ ერთ-ხმად დაადგინა, რომ სასურველია შემოღებულ იქმნას ერობა ტფილისის გუბერნიაშიო.

*** კვირას, 12 აპრილს, დილის 11 საათზედ, გუბერნიის მმართველობის მოხელეებმა, ტფილისის ვიცე-გუბერნატორის კ. კ. სტეფანოვიჩის მეთაურობით, მიართვეს ბ-ნ ხლებნიკოვის მიერ გაკეთებული ალბომი ტფილისის გუბერნატორად ნამყოფს, თავად გ. დ. შერვაშიძეს. ალბომის მირთმევის დროს კ. კ. სტეფანოვიჩმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა თავ. შერვაშიძეს:

„დიდად პატივცემულო თავადო გიორგი დიმიტრის ძევ! როდესაც თქვენ დასტოვეთ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობა, თქვენის უფროსობის ქვეშე მოსამსახურეთ საერთო სურვილი განაცხადეს მოგართვან სახსოვრად ალბომი თავიანთის სურათებითა და თქვენის მოღვაწეობის უმთავრესს შედეგთა აღნიშვნით, სახელდობრ სასოფლო-სამეურნეო თახხისა, გზების გაყვანისა, პურის ამბრების დაარსებისა. ყველა თქვენის უფროსობის ქვეშე მოსამსახურეთა სიყვარული და ნდობა აქვთ თქვენი, რომელიც მოიპოვეთ იმითი, რომ გულ-წრფელად ეკი-

## ფელეტონი

—

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“ № II 1898 წ.

ჟურნალ „ჯეჯილის“ მეორე ნომერი, სამეცნიერო გასართობის და გამოცანა-რებუს-შარადების გარდა, შეიცავს სულ ორს ლექსს და შვიდამდის ორიგინალურს თუ ნათარგმნს მოთხრობას. ლექსებში პირველი ადგილი უჭირავს—„იადონსა და ბულბულს“. ამ ლექსს არც შინაარსით, რომელიც ადვილად გასაგებია პატარა მკითხველებისთვისაც, და არც ლექსთა წყობილებით არა უშავს-რა. ამას გარდა ხსენებულის ლექსის ღირსებას შეადგენს ის გონებითი საზრდოც, რომელსაც იძლევა ლექსი „იადონი და ბულბული“, რომლის კითხვის დროს პატარა მკითხველები ადვილად გაიგებენ ფრინველების განსაკუთრებულ თვისებას იადონთან შედარებით. ლექსიდგან ბავშვი გაიგებს, რომ ბულბულს, შაშვს, ტოროლას, გუგულს და სხვებს ტყვეობაში სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიათ, მაშინ როდესაც იადონისთვის სულ ერთია ტყვეობაცა და თავისუფლებაც. მეორე ლექსი „სიკვდილი“, როგორც სურათის ხელოვნურად აწერილობით, აგრეთვე შინაარსით და შიგ გატარებულის აზრით უკეთესია პირველზედ. ეს ლექსი იპყრობს თავისს შორის საკმაო ესტეტიურ-მხატვრობით ელემენტს. ლექსი თავდება ტრაგიკულად, და გარდა იმისა, რომ დიდად ჰმოქმედებს მკითხველზედ, იძლევა საუკეთესო მასალას ზოგიერთის ბავშვის ზნეობრივად გასწორებისათვის.

ორიგინალურ მასალად „ჯეჯილის“ ამ ნომერში დაბეჭდილია მოთხრობა სათაურად—„კაკის მეფობა“, რომელიც შეეხება თანამედროვე სკოლის მოწაფეების ცხოვრებას. უმთავრესი გმირი მოთხრობისა არის კაკი ანუ ერეკლე, რომელიც მკვირცხლი, სიცოცხლით სავსე და თავ-მოყვარე ბავშვია. კაკი არის მთელის კლასის გამაცოცხლებელი. კაკი ერთხელ, თამაშობის დროს, ერთის თავისის ამხანაგის მიერ შეურაცხყოფილი, მოთმინებიდგან გამოდის და სილას გაარტყამს თავისს ამხანაგს სანდროს. მასწავლებელი ამ გარემოების მიხედვით ჯერ წაავლებს კაკის სახელოში ხელს და გააჩანჩხალებს და, საქმის გამოძიების შემდეგ, ერთს დღეს საბნელეთში ამყოფებს. ამნაირად მოუფიქრებელ და თავხედურ საქციელისათვის კაკი ისჯება და აქ საკვირველი არაფერი არ არის, მაგრამ კარგად რომ დაუკვირდეთ მოთხრობას, ადვილად დაინახავთ, რომ კაკის დასჯის მიზეზში რაოდენიმე ნაწილი თვით მასწავლებელსაც უდევს. აი რას ვკითხულობთ მოთხრობაში: მასწავლებელმა წაუკითხა მოსწავლეებს ლექსი „პაპუნა და ერეკლე“ და ამის შემდეგ უამბო მეფე ერეკლეს ისტორია; ის გასაოცარი მეომარი იყო, ყველას ამარცხებდა, ის-კი არავის არ დაუმარცხებიაო. საზოგადოდ მასწავლებლის სიტყვებმა შემდეგი არა-სასურველი სურვილი აღძრა ბავშვში: „ნეტა მეც ერეკლესთანა ღონიერი ვიყო, რომ ერთის შემოკვრით კაცი შუაზედ გადავჭრაო, მაშინ ყველას ჩემი შეეშინდებოდა და ყველა ჩემი მორჩილი იქნებაო“. ამის შემდეგ რა საკვირველი იქნებოდა, თუ კაკი მიჰბაძავდა მეფე ერეკლეს ისე, როგორც ეს დიდებული მეფე დაუყენეს მას თვალწინ და თავისს ამხანაგს მარტო სილის გარტყმასაც-კი არ დასჯერდებოდა. მასწავლებელმა მეფე ერეკლე გააცნო მოსწავლეებს არა იმ მხრით, რა მხრითაც ბავშვს შეეფერება და ამიტომ ამ გაცნობას შედეგიც არა სასურველი მოჰყვა. საზოგადოდ „კაკის მეფობა“ სუსტად მიგვაჩნია და ზოგ ადგილას სიმართლეს მოკლებული. კაკის შესახებ ამხანაგები ამბობენ, ამის შემდეგ „კაკის ხმას ნუღარ გავცემთო“. ერთი ამხანაგი დედის დარიგებით შერიგების შესახებ ელაპარაკება ამხანაგებს, მაგრამ ისინი არა სთანხმდებიან. ავტორის სიტყვით „კაკი სულს უდგამდა და ამხიარულებდა მთელს კლასს“ და ამისთანა ამხანაგი მთლად განრისხეს ყველა მოწაფეებმა. ეს ამბავი დაუჯერებელია, როგორც ზოგი სხვაც „კაკის მეფობის“ ამბავში. ბავშვების ცხოვრებაში ერთი კარგი რამ თვისება შეინიშნება—ერთობა, ერთ პირობა, ერთმანეთის გატანა. ეს ისეთი თვისებაა, რომ დიდებისათვისაც მისაბაძია. ვთქვათ, ერთმა მოწაფემ მეორესა სცემა და ნაცემი წავიდა საჩივლელად უფროსთან; ამანაც დაიბარა მოჩხუბარი ბავშვი და უთხრა,—შენის ამხანაგის შეურაცხყოფისათვის, ცემისათვის შენ უსათუოდ დაისჯები, თუ არა სთხოვ შენს ამხანაგს, რომ გაპატიოსო. ამას პატიებაც მოჰყვება და ამხანაგების მხრით თანაგრძნობაც და ეს ორი მოჩხუბარიც მალე ისევ მეგობრად ხდებიან. საზოგადოდ ძნელად წარმოსადგენია იმისთანა საქციელი ბავშვებში, რაც კაკის უყვეს თავისს ამხანაგებმა. აქ ავტორს ნაძალადეობა ეტყობა,—უნდოდა ეთქვა პატარა მკითხველებისათვის ერთმანეთში მეგობრულად მოიქეცით და ნუ გააჯავრებთ ერთმანეთს, თორემ ცუდს მოწაფეს მთელი კლასი ხმას არ გასცემსო და სთქვა კიდეც! წერილს ჩართული აქვს მეფე ერეკლეს ყმაწვილობის დროის სურათი.

„კაკის მეფობის“ შემდეგ „ჯეჯილში“ ვკითხულობთ თარგმნილ მოთხრობას „მგელი-კალია სოლანჟი“ მარსელ პრევოსი. მოკლე შინაარსი ამ მოთხრობისა ასეთია: გრილიე და სოლანჟი პატარაობიდგანვე დიდი მეგობრები იყვნენ, ისინი პატარაობისას ერთად აძოვებდნენ ხბოებს. ბოლოს ერთმანეთი შეუყვარდებათ. სოლანჟის მშობლები უარს არიან, არ უნდათ თავისი ქალი მიათხოვონ გრილიეს, რადგანაც ღარიბია, როგორც თვით ისინი. გრილიე ღამ-ღამე სანადიროდ დადის. ერთს ღამეს ჩუმად სოლანჟიც თან გაჰყვება სანადიროდ. ნადირობა უბედურებით თავდება—გრილიე ფეხს იტკენს და დავარდება ერთს ადგილას; სოლანჟი მოუწვება გვერდით ლორან გრილიეს, მოეხვევა ორისავე ხელით, თავს ლოყაზედ დაუდებს და ამ გარემოებაში მყოფნი ელიან სიკვდილს სიცივისაგან. ამათ თავს წაადგება ექიმი, რომელიც წაიყვანს ორივეს და სიკვდილს გადაარჩენს. ამის შემდეგ სოლანჟი და გრილიე დაქორწილდებიან. მკითხველი დაინახავს, რომ ამ მოთხრობაში მეტად სჭარბობს ესრედ წოდებული ეროტიული ელემენტი. ეს მოთხრობა უფრო რომანია და უფრო მომწიფებულთათვის საკითხავი, ვიდრე საბავშვო მოთხრობა. ამ გვარის შინაარსის წერილები არა თუ რამე საღს სულიერს და ხორციელს საზრდოს ვერ მიაწვდის მოზარდ თაობას, პირ-იქით მავნებელია კიდეც, როგორც უდროოდ შეყვანა ბავშვისა ისეთს სფერაში, რომელიც არ გამოუცდია. საზოგადოდ ეროტიული ელემენტის გატარება საბავშო საკითხავ წიგნებში იმდენად შეუწყნარებელია თანამედროვე პედაგოგიის მხრით, რომ ამის დასამტკიცებლად ლაპარაკის განგრძობა მეტად მიგვაჩნია.

შემდეგ ამავე ნომერში დასტამბულია ფრანგულიდგან გადმოკეთებული წერილი „მოლაპარაკე ხე“, „ახალი ქვეყანა“ და „პატარა მოწამენი“. „ახალი ქვეყანა ჯერ დაუსრუ-

დებოდით თქვენს თანაშემწეებს, ყურადღებას აქცევდით ყოველს იმათს გაჭირვებას, მოთმინებით ისმენდით და სჯიდით იმათს თხოვნასა და აზრს და ყოველთვის მზად იყავით დახმარება და შემწეობა აღმოგეჩინათ, რაც-კი თქვენგან იყო დამოკიდებული. აი, ამა გრძნობებით აღძრულნი გთხოვთ, თავადო, მიიღოთ ესე ნიშანი ჩვენთან ერთად სამსახურის სახსოვრად; ამასთან გულით გისურვებთ ხანგრძლივ იცოცხლოთ და არა იხილოთ დღენი მწუხარებისანი და არა-კეთილნი“.

თავადმა გ. დ. შერვაშიძემ აღელვებულის ხმით გულითადად მადლობა გარდაუხადა როგორც კ. კ. სტეფანოვიჩს, ისე სხვათ, რომელთა შორის იყვნენ გუბერნიის მმართველობის საბჭოს წევრნი, გუბერნიის მკურნალი, გუბერნიის ინჟენერი, საეროზო დარაჯის ინსპექტორი თავ. ჩოლოყაშვილი, მაზრის უფროსნი: ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი, ი. ი. ჩეხოვსკოი, თავ. გრ. თარხან-მოურავი, საპატიმროს კომიტეტის დირექტორი გ. მ. თამამშოვი და სხვანი და ყველას სათითაოდ ხელი ჩამოართვა.

*** შაბათს, 11 აპრილს, ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიის ეკკლესიის დარბაზში პირველი საერთო კრება ჰქონდათ ტფილისის შრომის მოყვარეთა სახლის სამზრუნველოს წევრთ. კრებას დაესწრნენ: მაღალყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი კ. პ. იანოვსკი, ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი და მრავალნი სხვანი. კრებამ საზოგადოების სამმართველოს წევრებად აირჩია პ. ი. ვედენეევისა, მ. ვ. კოლუბიაკინისა, ნ. ო. კლემენტიევისა, ე. ე. ვურცელი, თ. ა. ბიკოვი, კ. კ. სტეფანოვიჩი, ბ-ნი გუმილევსკი, ი. ს. მედვედიევისა და კნ. ანდრონიკოვისა. კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: კ. პ. იანოვსკი, ქ-ნი ბიკოვისა და კნ. ამილახვარი; სარევიზიო კომისიის წევრებად—ელჩუკოვი, შულგინი და ოსეცკი; კანდიდატებად—ბუტკევიჩი, ი. ი. წინამძღვრიშვილი და ლეონოვი. კრებამ დასასრულს დაადგინა მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს საზოგადოების მფარველს ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულს ახლად დაარსებულ საზოგადოების მოქმედების დაწყებისა გამო.

*** ახლად დაარსებული სახაზინო პალატები ქუთაისსა, ეკატერინოდარსა და ერევანში მოქმედებას ამა წლის პირველ მაისიდგან დაიწყებს.

*** გუშინ-წინ, 12 აპრილს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა ტფილისის უძრავ ქონების საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრებამ დაამტკიცა წარსულის წლის ანგარიში და მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შემდეგ არჩეულ იქმნა ზოგიერთი თანამდებობის კაცი.

*** 14 აპრილიდგან ტფილისში დაიწყება კრება ბეითალებისა და სოფლის მემამულეთა. კრებამ უნდა განიხილოს: შემოღებულ იქმნას თუ არა ამიერ კავკასიაში ახალი კანონი, რომლის ძალითაც უნდა დაიხოცოს ჭირიანი საქონელი. კრება გაიმართება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში. ქალაქის გამგეობამ ამ კრებაზე დასასწრებლად დანიშნა სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორი ბ-ნი სტეფანოვი და სამი ბეითალი.

*** რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების ტფილისის განყოფილებას აზრადა აქვს მაისის პირველ რიცხვებში გამართოს ტფილისში ყვავილების, განსაკუთრებით ვარდების გამოფენა. გამოფენა გამართული იქმნება მუშტაიდში საამრეშუმო სადგურის შენობაში.

*** ხილეულობის გამოფენა დღეს, 14 აპრილს, თავდება.

*** 27 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში, კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას, ამ საზოგადოების 25 წლის არსებობის გამო, კრება ექმნება. საზოგადოების თავმჯდომარე თ. ა. ბიკოვი შესაფერ სიტყვას წარმოსთქვამს, ხოლო მდივანი ა. ს. ფრენკელი წაიკითხავს 1873 წლიდგან 1898 წლამდე ამ საზოგადოების მოქმედების მოკლე ისტორიას.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეატყობინა კავკასიის გუბერნატორებს, რომ ქალაქის თვით-მართველობათა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქის სასარგებლოდ დაედოს გარდასახადი ეტლებს, ცხენებს, კერძო კაცების ეტლებს და სხვა, უნდა წარედგინოს ხოლმე ადგილობრივ ქალაქის საქმეთა საკრებულოს აზრითურთ სამინისტროს მისდა განსახილველადაო.

*** უკანასკნელს კრებაზედ, 10 აპრილს, ქალაქის გამგეობამ განიხილა ქალაქის მოურავის ევანგულოვის წინადადება იმის შესახებ, რომ ქალაქმა ტფილისმა რითი უნდა ჰყოს სახსოვარ 1901 წელს ასის წლის შესრულება მას შემდეგ, რაც ტფილისში რუსეთის მართვა-გამგეობა იქმნა შემოღებულიო. ევანგულოვის აზრით, ქალაქის თვით-მმართველობამ ამის სახსოვრად ძეგლი უნდა დადგას და 1901 წლისთვის შეადგინოს და გამოსცეს ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობის ისტორია. ამასთან ქალაქის მოურავი თხოულობდა, რომ თუ გამგეობა შეიწყნარებს ჩემს წინადადებას, მომანდეთ მე მაგ საგნის შესახებ მოლაპარაკება დავიწყო დ გამოვიანგარიშო რა დაჯდება ისტორიის გამოცემა. გამგეობამ, განიხილა რა ეს წინადადება, მოიწონა, ხოლო იმის გამორკვევა, რა გვარად სახსოვარ ჰყონ ასის წლის შესრულების დღე, ჯერ-ჯერობით გადადებულ იქმნა.

*** პერბურგის კერძო საეკონომიო საზოგადოებისაგან გუშინ წინ, 12 აპრილს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „შეგვატყობინეთ, კავკასიაში რომელი სოფლები დაზარალდნენ მოუსავლობით და რითი შეუძლიან მათ დახმარება აღმოუჩინოს იმ კომიტეტმა, რომელიც კერძო საეკონომიო საზოგადოებასთან იქმნა დაარსებული“. ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ამ საგნისათვის საჭირო ცნობების შეკრებას.

*** კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობამ შეიმუშავა პროექტი ამიერ კავკასიის ყვავილის ამცრელთა წესებისა. ამ პროექტის ძალით ყვავილის ამცრელნი უნდა ექვემდებარებოდნენ იმ სასოფლო ექიმებს, რომელთა ნაწილშიაც ისინი ჰმსახურებენ. ექიმმა უნდა შეატყობინოს მაზრის უფროსს, ბოქაულების შემწეობით სოფლის მამასახლისებისათვის გამოსაცხადებლად, ის დღე, რა დღესაც ყვავილის ამცრელი სოფელში მივა. მამასახლისები ვალდებულნი არიან ამ დღისთვის შეადგინონ სია იმ ბავშვებისა, რომელთაც ყვავილი უნდა აეცრას, ხოლო თვით მოსვლის დღეს ყველა ამ ბავშვებსთავი მოუყარონ ერთს ან ორს 'დანიშნულ ადგილს. 8 ან 10 დღის შემდეგ ყვავილის ამცრელი ხელახლად უნდა მივიდეს ამ სოფელში და დახედოს აცრილს ბავშვს, ყვავილის ამცრელნი უნდა ეცადნენ, რაც შეიძლება ბევრ ბავშვსა და დიდს აუცრან ყვავილი და ყოველთვის უნდა ეცადნენ, რომ დარიგებითა და ტკბილის ლაპარაკით დაიყოლიონ ხოლმე. თუ ვინმე ყვავილით გახდა ავად, სასოფლო ექიმს უნდა შეატყობინონ და ყველა იმის განკარგულება აღასრულონ. ყვავილის ამცრელთ ყოველ თვე უნდა წარუდგინონ სასოფლო ექიმს თავისის მოქმედების ანგარიში, სოფლის მამასახლისის მიერ შემოწმებული. ყვავილის ამცრელების ჯამაგირს ექიმი ხაზინიდგან გამოიწერს ან ყოველ თვე, ან წელიწადში სამჯერ. სოფლიდგან სოფელში გადასვლაზე ყვავილის ამცრელთ გლეხებმა უნდა დაუთმონ უფასოდ ერთი ცხენი ან ურემი, ხოლო სოფელში გაჩერების დროს ბინა მისცენ. ყვავილი უფასოდ უნდა აუცრან ხოლმე. ყვავილის ამცრელს ჰნიშნავს გუბერნიის სამკურნალო განყოფილება, ან ოლქის მკურნალი სასოფლო მკურნალის წარდგენილებისამებრ.

*** გაზეთ „ნოვ. ობოზ.“ დეპეშით სწერენ პეტერბურგიდგან, რომ გამოცხადებულია: 1) უმაღლესი ბრძანება, შესახებ ახალის დასის დაარსებისა, რუსეთიდგან გადმოსახლე-

ლებელია და ამის გამო ლაპარაკს სხვა დროსთვის გადავდებთ. „მოლაპარაკე ხეს“ საზოგადოდ არა უშავს-რა. შინაარსი შეეხება ხალხურ ცრუ მორწმუნეობას ქაჯების შესახებ. თუმცა წერილი სავსებით ვერ უხსნის პატარა მკითხველებს ამ საკითხს, მაგრამ დააფიქრებს მაინც და ათქმევინებს: „იქნება უველა ქაჯები ადამიანები იყვნენო“. მოზრდილი მკითხველი როცა წაიკითხავს სათაურს „მოლაპარაკე ხე“, იფიქრებს უთუოდ ამონეფოსის ქანდაკის ნანგრევების ამბის მსგავსს ამბავს გვპირდება ავტორიო, იმ ქანდაკისას, რომელსაც დიდის ხნის განმავლობაში განუწყვეტელი კვნესა გაჰქონდა და განცვიფრებაში მოჰყავდა მნახველები, რომლებიც ბლომად მიდიოდნენ საბერძნეთის ქალაქში ამ სასწაულებრივის მოვლენის სანახავად. მაგრამ „მოლაპარაკე ხე“-ში მოლაპარაკედ გამოდის ვიქტორი (ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ბიკტორი, ბესარიონი და არა ვისარიონი) და არა ხე.—

საზოგადოდ შენიშნულია, რომ რომელისამე ისტორიულის კაცის ცხოვრების აწერილობას დიდი აღმზრდელი გავლენა შეუძლიან იქონიოს მოწაფეებზედ. ამის მიხედვით „კაკის მეფობის“ მაგიერ რომ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები გადაეცათ მეფე ერეკლეს შესახებ ისე, რომ მისაწვდენი ყოფილიყო ბავშვის გონებისათვის, უფრო დროს შესაფერისი და სასარგებლო იქნებოდა ჩვენის აზრით. ამ გვარ სასარგებლო მოთხრობებს ეკუთვნის მოთხრობა ძველის აღთქმიდგან მაკაბელების შესახებ „პატარა მოწამენი“. ბავშვები ყოველთვის სცდილობენ ყველაფერში უფროსებს მიბაძონ. უშინსკი, რუსების პედაგოგთა მამამთავარი ამბობს: „въ склонность души къ привычкѣ и *подражанію* воспитаніе находитъ сильнѣйшее средство для воздѣйствія на воспитанника; вся сила *примѣра* основывается на нихъ“. ამისთვის ბედნიერად მიგვაჩნია ის ბავშვები, რომლებიც როგორც ცხოვრებაში, აგრეთვე წიგნებშიაც ჰპოულობენ მისაბაძავ კაცებს: ამისთანა საუკეთესო მოთხრობად მიგვაჩნია პატარა მოთხრობა მაკაბელების შესახებ, რომელსაც დიდის ხალისით წაიკითხვენ „ჯეჯილის“ ყველა მკითხველები განურჩევლად და სარწმუნოებაზედ მტკიცედ დგომის აზრით განიმსჭვალებიან.

ბოტანიკურ წერილებიდგან პატარა მკითხველები გაიცნობენ მანათობელს მცენარეებს (les lumineuses); ეს წერილი არ იქნება ინტერესს მოკლებული, მაგრამ განყენებულად მიგვაჩნია. ამ წერილის წაკითხვის დროს ბავშვის გონებაში უსათუოდ აღიძვრის სურვილი ამ საკვირველის მცენარის ნახვისა სურათად მაინც და ამ უბრალო და სამართლიანს ცნობის-მოყვარეობას მკითხველისას წერილი სავსებით ვერ აკმაყოფილებს.

„ჯეჯილის“ ბოლოში მოქცეულია ერთი იგავი და სამეცნიერო გასართობი. იგავს სათაურად უზის დიდის ასოებით ქველ-მოქმედი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ქველ-მოქმედს იგავის ავტორი ეძახის იმისთანა კაცს, რომელმაც ღამით ერთის სოვდაგრის დუქანი გასტეხა, ფული გამოიტანა და გამლელ-გამომვლელ გლახაკს დაურიგა. სწორეთ კარგი მაგალითია ქველ-მოქმედებისათვის!!

სამეცნიერო გასართობი კარგია და სასურველიც არის ამისთანა გასართობები სისტემატიურად იბეჭდებოდეს ყველა ნომრებში. ამისთანა გასართობებს ბავშვები საზოგადოდ ძალიან მისდევენ.

როგორც ამ ორის ნომრის გასინჯვიდგან დავინახეთ, „ჯეჯილში“ უფრო მეტი ყურადღება აქვს მიქცეული ნათარგმნებს, უცხო ქვეყნის ნაწარმოებს, ადგილობრივი ელემენტი „ჯეჯილში“ ან სულ არ მოიპოვება, არ არსებობს და ან არა აქვს მიქცეული საჭირო, სასურველი ყურადღება. ადგილობრივ ცხოვრებიდგან აღებული საკითხავი მასალა, ადგილობრივ საგნების, მოვლენათა აწერილობა იქნება თუ სხვა, შეიძლება უფრო ადვილი გასაგები იყოს პატარა მკითხველებისთვისაც. ადგილობრავ მასალიდგან ადვილად შეეძლებათ უფროსებს განუმარტონ პატარებს ჩვენი ცრუ-მორწმუნებანი, თვალსაჩინოდ დაანახვონ მისი შეუძლებლობა და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდის მხრივაც. ახალის გავლენის შეთვისებისათვის საჭიროა ახალის შეერთება წარსულ გავლენასთან. ამას ნათლად დავინახავთ თუ დავუკვირდებით ჩვენს წარმოდგენას. ყველაზედ უფრო მკვიდრი ის წარმოდგენაა, რომელიც უერთება ანალოგიურს მსგავსს მოგონებას; სუსტი ის წარმოდგენაა, რომელიც მიღებულია შემთხვევით გზა და გზა და რომელსაც არც კავშირი და არც ადგილი არა აქვს სხვა ჩვენ წარმოდგენასთან. ჩვენთვის და ჩვენის ბავშვებისათვის ყველაზედ უფრო ადვილად გასაგებია მშობლიური ჰანგები, მშობლიურის ქვეყნის აწერილობა, ადგილობრივის ბუნების მოვლენანი, ჩვენი წარსული ისტორიული ამბები და სხვა, რადგანაც ყველა...ის ჩვენ სულში, გონებაში იპოვის მზა ნიადაგს შეთვისებისათვის. ამიტომ ყველა საბავშო საკითხავ წიგნში ადგილობრივს ელემენტს უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. უცხო ქვეყნის მცენარე იქნება, თუ ფრინველი, უფრო გავიცნობთ, როცა ჩვენებური გვეცოდინება, ხოლო პირდაპირ უცხო ერის ნაწარმოების თუ საგნების შესწავლა იმავე ადგილობრივის საგნის მიუხედავად ხელს უშლის აგრეთვე ბავშვის მეხსიერების კანონიერად განვითარებას, რადგანაც ამისთანა მასალა მძიმე ბარგი იქნება ბავშვის მეხსიერებისათვის. „Все не наше не такое“ ამბობს გონჩაროვი რუსების შესანიშნავი მწერალი—მოგზაური: „Промелькнетъ воробей—гораздо нарядпѣе нашего, франтъ, а сейчасъ видно, что воробей, какъ онъ ни франти. Тотъ же летъ, тѣже манеры и такъ же копается, какъ нашъ, во всякой дряни, разбросанной по дорогѣ. И ласточки, и вороны есть; но не тѣ: ласточки сѣрѣе, а ворона чернѣе гораздо. Собака залаяла, и то не такъ, отдаетъ чужимъ, какъ будто на иностранномъ языкѣ лаетъ“ (იხილ. თხზულება გონჩაროვისა VI—გვ. 165). სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენში, როგორც სჩანს ჩვენის საბავშვო მწერლობის მიმდინარეობისაგან, საბავშვო მწერლები ძალიან ცოტა გვყავს; ისეთი მწერლები, რომელთაც ზედმიწევნით იცოდნენ ბავშვის ბუნება და მისი მოთხოვნილება, ე. ი. პედაგოგ-პსიხოლოგები იყვნენ.

ყურადღება რომ მივაქციოთ ბავშვის სულიერ ნიჭთა განვითარების საქმეს საბავშვო მწერლობის საშუალებით, დავინახავთ, რომ ყველა საბავშვო ჟურნალი უნდა იპყრობდეს უმეტესს შემთხვევაში ხუთს განყოფილებას: სარწმუნოებრივ-ზნეობრივს, საბუნებისმეტყველო-საისტორიოს, ისტორიულ ბიოგრაფიულს, გეოგრაფიულ და ბელეტრისტიულს. ამის მიხედვით რომ გადავხედოთ „ჯეჯილ“-ს საზოგადოდ, დავინახავთ, რომ ზოგი განყოფილება სრულიად აკლია, ზოგი-კი სუსტობს და ამისთვის გვითქვამს და შემდეგშიაც ბევრჯელ ვიტყვით, რომ ამ ჟურნალის წარმატებისათვის ფრიად საჭიროა მეტი თანაგრძნობა და დახმარება, ვისაც რითი შეუძლიან.

ლ. ბოცვაძე

ბულთათვის ადგილების მისაცემად ჩერნომორსკის გუბერნიაში; 2) გარდაწყვეტილება უმართებელესის სენატისა იმ წესის შესახებ, რომლითაც ქალაქის დებულების 85 მუხლის ძალით შეეძლება ქალაქის საბჭოს განასაჩივროს საგუბერნიო საერობო ანუ ქალაქის საქმეთა შესახებ საკრებულოს გარდაწყვეტილება.

*** გაზ. ,,ტფ. ფურც.“ სწერენ ყარსის რკინის გზიდგან: ,,სადახლოსა და ახტალაში მომუშავე მუშებს შორის რაღაც ავადმყოფობა გაჩნდა, მგონი სახადი, მაგრამ რკინის გზის ამშენებელნი არაფერს ჰფიქრობენ: აქ არც მკურნალია და არც ფერშალი, ამიტომ ყველა ავადმყოფს ტფილისში ისტუმრებენ, მერე როგორ? შეაგდებენ საქონლის ვაგონში და როგორც ნივთი, ისე მიაქვთო“.

*** ჩვენ გვთხოვენ ქველმოქმედთა ყურადღება მივაქციოთ დურგალის ალექსანდრე ლომპარიძის გაჭირვებულს მდგომარეობას. დურგალი ლომპარიძე უძლური ავადმყოფია თურმე, აღარ შეუძლიან შრომა და არც არავითარი საშუალება აქვს ცხოვრებისა. ოთხი წვრილი შვილი და ცოლი ჰყავს, რომელნიც ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში არიან. ადრესი: მთაწმინდაში, ხევის ვიწრო ქუჩა, სახლი № 9.

*** გაზ. „კავკასის“ სიტყვით მომავალ სეზონში სახელმწიფო თეატრს ბ-ნი ფარინა იღებს.

*** რკინის გზის კონდუქტორმა გიორგი მუჩკუდიანმა ხანჯლით მსუბუქათ დასჭრა კონდუქტორი ალექსანდრე ორჯონიკიძე. დამნაშავე სამართალში მისცეს.

## მკურნალთა საზოგადოების კრება.

12 აპრილი.

ამ დღეს კრებაზედ წაკითხული იქმნა ორი მოხსენება. ერთი მკურნალის პარიისკის მიერ კუზის გასწორების შესახებ და მეორე მკურნალის ბაბაევის მიერ ტფილისის აბანოების წყალის შესახებ.

მკურნალმა პარიისკიმ სთქვა, ათიოდე კუზიანს ბავშვს გავუსწორე კუზი იმ გვარადა და წესით, როგორც პარიჟის მკურნალი ბ-ნი კალო ასწორებსო. ამასთანავე ბ-ნმა პარიისკიმ განაცხადა, რომ ეს საშუალება სრულებით არ არის საშიშოო, გარდა ამისა, პატივცემულმა მკურნალმა სთქვა, რომ კუზის 'გასწორების შემდეგ შემიმჩნევია, რომ ავადმყოფს მადა ემატება და უფრო ჯანსაღადა ჰგრძნობს თავისს თავსაო.

მკურნალი ბაბაევი ამტკიცებდა, რომ ტფილისის აბანოს წყალი ყველაფრით უკეთესია იმ გოგირდის წყალზე, რომელიც-კი სადმე ევროპაშიაო და ამიტომ ჩემის აზრით საჭიროა, მთავრობამ ეს აბანოები კერძო კაცებს ჩამოართვას და რიგიანად მოაწყოს ავადმყოფთათვისაო.

ბ-ნმა ბაბაევმა სთქვა აგრედვე, რომ ტფილისის აბანო მარტო ტანის დასაბანად კარგი არ არის და შეიძლება მავნებელიც იყოს, ასე რომ ტანის დაბანა ისევ ავჭალის მილის თბილ წყალითა სჯობიან.

დასასრულ ბ-ნმა ბაბაევმა სთქვა, ამ ჟამად ვარდგენთ პროექტს, რომლის ძალითაც ჩემი საკუთარი აბანო უნდა გადაეცეს სააქციონერო საზოგადოებას, რომელიც ისე მოაწყობს იმას, როგორც საზღვარ-გარედ არის მოწყობილი ე. ი. აბანოსთან გამართული იქმნება მშვენიერი ბაღი, სასტუმრო და სხვა ამგვარი მოწყობილებაო.

მკურნალის ბაბაევის ანგარიშით ქალაქის აბანოები ერთ დღეში იძლევიან 113,000 ვედრო წყალს, აქედგან ქალაქის მცხოვრებლები სარგებლობენ მხოლოდ 41,000 ვედრა წყალით, დანარჩენი-კი ტყუილუბრალოდ ფუჭდება.

## ხმა პროვინციიდამ

—

ეს მეორე დღეა, რაც ჩვენმა მიძინებულმა გორმა თითქოს თვალები გაახილა, გამოიღვიძა. ტფილისიდგან და სხვა-და-სხვა სოფლებიდგან მოსულმა ხალხმა ჩვენს უფერულ ცხოვრებას სიცოცხლის სასიამოვნო ელფერი დასდო. ამ აპრილის ცხრასა და ათს ორი კრება მოხდა აქა. ორსავე კრებაზედ მეტის-მეტად საყურადღებო და მაღალ მნიშვნელოვან საგნებზედ იყო გაცხარებული, აზრიანი სჯა და ბაასი. პირველ დღეს მოხდა კრება „გორის მაზრის სამეურნეო ამხანაგობისა“, ხოლო მეორე დღეს—კრება ამავე მაზრის კეთილშობილთა ჩვენში ერობის შემოღების შესახებ. ორსავე კრებას დაესწრო დიდ-ძალი ხალხი და დიდის სიამოვნებით უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ხალხი სეირის სანახავად კი არ იყო მოსული, არამედ საქმის გონივრულად შეგნებისა და სიყვარულის გამო. ამიტომაც პირად კინკლაობას, უსაგნო მჭერმეტყველებას და სხვა რაიმე არა სასურველ მოვლენათ ამ კრებებზედ ადგილი არა ჰქონდა. აქ თითქოს სრულიად გამქრალიყო ის წვრილმანი დას-დასური გადგომ-გამოდგომა, რომელიც ასე ამცირებდა და ამდაბლებდა ყველა შიგ მდგომს წყალ-კრულვით მოსახსენებელს წარსულ წლებში. აქ ყველანი ძმები იყვნენ, ერთის აზრით, ერთის კეთილშობილურის გრძნობით გამსჭვალულნი. ამიტომაც იმათმა შეერთებულმა ღონემ გამოიღო ნაყოფი სასარგებლო და სასიამოვნო. მაშ ჯანაბას, ჯანაბას იყოს სახელი და სახსენებელი წარსულის შავბნელის წლებისა და გამარჯვება ახალ დროს, ახალ ძმობასა და ერთობას!

—

სულ რვა თვეა მას აქეთ, რაც „გორის მაზრის სამეურნეო ამხანაგობა“ დაარსდა. ამ, შედარებით, მცირე ხნის განმავლობაში რიცხვი ამხანაგობის წევრთა ასზე მეტი გამხდარა. საწევრო ფულისაგან შემდგარა 9,933 მან. და 75 კაპ. საგანი ამ ფრიად თანასაგრძნობელ დაწესებულებისა ის არის, რომ სოფლის მცხოვრებელთ გაუადვილოს სარფიანად გაყიდვა ყოველგვარის ნაწარმოებისა, ამნაირად იხსნას ეს ნაწარმოები ვაჭარ-ჩარჩის ხრიკებისა და თავ-გასულობისაგან, ხოლო ამ მცხოვრებთათვის საჭირო სავაჭრო, თავისის მაღაზიის შემწეობით, მიაწოდოს მათ რაც შეიძლება კარგის თვისებისა და ამასთანავე იმდენად იაფად, რამდენადაც-კი ეს შესაძლებელია აწმყო გარემოებათა მიხედვით. მმართველობა და მაღაზია ამ ამხანაგობისა აქამომდე იყო მხოლოდ ს.გომში, ხოლო შემდეგის წლიდამ მათი განყოფილება დაარსდება ქ.გორშიაც. რამდენად ჩინებულად წაუყვანიათ მმართველთ ამ ამხანაგობის საქმე, ცხადად სჩანს ერთის მხრივ იქიდგან, რომ ამ წელსავე ამხანაგობას დარჩენია სამას თუმნამდე წმინდა მოგება; ხოლო, მეორეს მხრივ, იქიდგან, რომ გომისა და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებელნი ისე მიუზიდნია თავისკენ ამხანაგობას, რომ მრავალს მათგანს აღძვრია სურვილი საზოგადოების წევრად გახდომისა. რაღა თქმა უნდა, რომ დაკმაყოფილება ამ სურვილისა მეტის მეტად სასურველია... და აი, სწორეთ ამ სურვილის განსახორციელებლად მოხსენებულ კრებაზედ გაშინჯულ იქმნა ერთი ფრიად საყურადღებო აზრი. ეს აზრი წარმოსთქვა ბ-ნმა სიხარულიძემ. სასურველია, ჰბძანა მან, რომ ყოველ ჩვენს მოვაჭრეს და, მომეტებულად გლეხკაცობას, ჩვენის მაღაზიის მოგებაში წილი დავუდოთო. ეს წილი რამდენსამე წელს ერთმანეთს შევაკეცოთ და როდესაც მათგან შესდგეს თუმანი, ეს ფული იმ გლეხის საწევრო ფულად შევიტანოთ ამხანაგობაში და, ამ ნაირად, ისიც ჩვენის დაწესებულების ნამდვილ წევრად გავხადოთო. საზოგადოება აღტაცებით მიეგება ამ უბრალო კაცისაგან წარმოთქმულ მარტივ, მაგრამ ღრმა შინაარსიან წინადადებას, და გადასწყვიტა: გამოირკვეს ამ აზრის პრაქტიკულ განხორციელების გარემოებანი და შემდეგ მომავალ კრებას წარედგინოს დასამტკიცებლად. ეჭვი არ უნდა, რომ მომავალი კრება დაამტკიცებს ამ აზრსა, ამხანაგობის წესდებაში შეიტანს და მით ბრწყინვალე მომავალს მოუმზადებს ამხანაგობას. უნდა სულ მთლად გამოთაყვანებული იყოს ის კაცუნა, რომელიც თავისათვის საჭირო სავაჭროს ამხანაგობის მაღაზიიდამ *) არ წაიღებს. მიეცემა იაფ ფასად კარგის თვისების სავაჭრო, აქ მიცემულის ფულის ერთ ნაწილს თითონვე მიიღებს და შემდეგ ამ ფულით ამხანაგობის ნამდვილ წევრად გახდება. ამაზედ მეტი სიკეთე რაღა გნებავთ, ჩემო ბატონო!!

—

ვგონებ, რომ არ არის სრულიად საჭირო ნიჭი წინასწარმეტყველისა, რომ კაცმა სრულის სიმტკიცით წარმოსთქვას: ჩვენს ნორჩს ამხანაგობას დიდი და ბრწყინვალე მომავალი მოელისო. იმედია, მალე ვნახამთ იმ სანატრელ დროსაც, როდესაც ამხანაგობას თავის მადლიან ფრთების ქვეშ შეგროვილი ეყოლება მთელი მცხოვრებელნი გორისა და გომის ახლო-მახლო სოფლებისა. შემდეგ გახსნის განყოფილებათ ცხინვალში, მეჯვრის-ხევში, ახალ-გორში და სხვაგან... და, ამნაირად შეიკვრიან ერთ დიდ ამხანაგობათ მთელის მაზრის მწარმოებელნი წოდებისა და მდგომარეობის განურჩევლად. დროა, დროა, რომ ამგვარმა ამხანაგობამ მალე აიდგას ფეხი, გამრავლდეს იგი და ერთგულად ამოუდგეს მხარში ჩვენს აწინდელ დაძაბუნებულს ცხოვრებასა! ასეთი ამხანაგობანია ერთად-ერთი ხსნა იმ გაუმაძღარ ვეშაპისაგან, რომელიც ნელნელა იზრდება, წელში სწორდება და ჩვენსკენ მსუნაგად აბრიალებს თავისს საზარელ თვალებსა. რაც უნდა სირაქლემასავით ღობე-ყორეს ამოვეფაროთ, რამდენიც გნებავთ შეშინებულ ბაღლსავით ხელები ვასავსაოთ „კაპიტალი არ არის ჩვენში, არაო!“ ამით ჩვენ ფონს ვერ გავალთ: თუ არ დაგვაკლდება, არა შეგვემატებარა!..დღეს თუ ჯერ კიდევ სუსტია და ამის გამო არ გვესმის მრისხანე ღრიალი კაპიტალისა, ხვალ და ზეგ ის გაიზრდება, კბილებს გაილესავს და, აბა, მაშინ ვინც ვაჟკაცია გაჰბედოს და გადუდგეს წინ. ასეთ გულ-ხელ დაკრეფილთ რომ გვნახავს, ყველას მოგვიდნობს, ყველას გადაგვყლაპამს; ჩვენს მამა-პაპურ სამღვთო კერაზედ წყალს დაგვისხამს და საუკუნოდ გაგვინელებს ცეცხლს! ამ ასთავიანის მდევისაგან ხსნა შეგვიძლიან მხოლოდ შეერთებულის ძალით, ამხანაგობათა შედგენით. ისტორიული უფლება და ზნეობრივი ძალა ჩვენსკენ არის და არა უცხოეთიდგან მობრძანებულ კაპიტალისაკენ. როდესაც ამ უფლებას და ძალას გვერდში ამოვუყენებთ ჩვენს საზოგადო, საამხანაგო კაპიტალს, მაშინ ფიქრი აღარ არის! მაშინ შეიძლება გამარჯვება ჩვენ დაგვრჩეს და უცხო ქვეყნიდამ მობრძანებული მტარვალი ან ჩვენ დაგვემორჩილოს და ან თავისსავე ქვეყანაში გაიპაროს.

პროვინციელი

*) მოვაჭრეს შეუძლიან თავისი ნაწარმოები მიიტანოს მაღაზიაში და მისის ფასით წაიღოს, რაც ესაჭიროება.

## რუსეთი

—

კომისიამ, რომელიც დაარსებულია ნადირობის კანონდებულების ხელ-ახლად გადასათვალიერებლად და შესამუშავებლად, ყოველ გუბერნიისა და ოლქის უფროსს ცნობები მოსთხოვა იმის შესახებ, თუ გარეულ მტაცებელ ცხოველებისაგან უკანასკნელ წლებში რამდენი ადამიანი დაშავდა და რამდენი შინაური ფრინველი და პირუტყვი იქმნა მოტაცებულშეჭმული, რომ ამ ცნობათა მიხედვით ჯეროვანი საბრძოლველი საშუალებანი იქნენ შემუშავებულშემოღებულნი მტაცებელ ცხოველების წინააღმდეგ.

—სასჯულო საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წელს სახელმწიფო საბჭოს პროექტი უნდა წარუდგინოს იმის შესახებ, რომ ოლქის სასამართლოების ყოველს წევრს წელიწადში 2,700 მან. ჯამაგირი მიეცეთ ხოლმეო.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ პირველ დაწყებით სასწავლებლების მასწავლებლობის მოწმობის მისაღებად სლავიანურ საეკლესიო ენაში არ უნდა გამოიცადნენ ხოლმე ისინი, რომელნიც მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას არ აღიარებენო.

— განზრახვა აქვთ სასტატისტიკო ცნობები შეჰკრიბონ იმის შესახებ, თუ სახელმწიფო შემნახველ კასსებსა და განყოფილებებში რა წოდებისა და ხელობის კაცთ შეაქვთ და გამოაქვთ ფული.

## უცხოეთი

—

**ისპანია და შეერთებული შტატები.** თუმცა ოფიციალურად ისპანიასა და შეერთებულ შტატებს შორის ომი ჯერ არ გამოცხადებულა, მაგრამ, როგორც დეპეშები იუწყებიან, ორსავე სახელმწიფოს სამხედრო გემები საქმეს უკვე შეუდგნენ. ამერიკის სამხედრო ხომალდებმა შეიპყრეს ისპანიის ორი სავაჭრო გემი, ხოლო ისპანიის სამხედრო ხომალდებმა—ამერიკის სავაჭრო გემი, რომელიც პურით დატვირთული ამერიკას ქალაქ სან-ფრანცისკოდგან ინგლისში მიდიოდა. დეპეშა იუწყება, რომ ამერიკის ერთი სამხედრო ხომალდი კუბის ნაპირებისაგან წავიდა კუნძულსა და ისპანიის შორის სატელეგრაფო მავთულების მოსასპობადაო. აშკარაა, რომ ომი უკვე დაიწყო, მხოლოდ ოფიციალურად გამოცხადება-ღა აკლია, რაიცა ყოველს ეჭვს გარეშეა, ამ ორ-სამ დღეში მოხდება. ისპანია, რომელიც აქამდის ყოყმანობდა და საქმას მშვიდობიანად მორიგებას სცდილობდა, ეხლა უკანასკნელად დარწმუნდა, რომ უომროდ ვერ გადარჩება და მარტო მოლაპარაკებით ვერაფერს გააწყობს. მთავრობა მით უფრო იძულებულია იარაღით გაუმკლავდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ უბრალო ხალხი დიდად აღელვებულია და მთავრობას ძალას ატანს ამარიკელებს ნუ დაუთმობო. ამის გარდა აწინდელის სამეფო გვარეულობის წინააღმდეგმა და სამეფო ტახტის მამიებელმა დონ-კარლოსმა გამოუცხადა თავის მომხრეებს, რომ თუ მთავრობა ვაჟკაცურად მოიქცა და ამერიკას ომი გამოუცხადა, თქვენც იარაღი აიღეთ და სამშობლოს დასაცველად უკანასკნელ სისხლის წვეთს ნუ დაზოგავთო, ხოლო თუ მთავრობამ თავისი მოვალეობა დაივიწყა და დამცირების პოლიტიკა განაგრძო, ისინი ღირსნი არა ყოფილან იარაღის ტარებისა და ამიტომ ჩვენ დავიჭიროთ იმათი ადგილი და ჩვენ გავცეთ ღირსეული პასუხი მტერსაო. რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, იქ არავინ ყოყმანებს და როგორც მთავრობა, აგრეთვე უბრალო ხალხი გაცხარებული ემზადება ომისათვის. მთავრობამ უკვე ბრძანება გასცა, რომ მილიცია შეიკრიბოს და თავისუფალ მეომართა რაზმები შესდგესო. ხალხი თავისის მხრით არაფერს არაზოგავს და მთავრობას ფულით და ჯვარის-კაცებით დახმარებას უწევს. ვაშინგტონიდგან იუწყებიან, მაგალითად, რომ 117 ქალაქმა 43 მილიონი დოლარი ანუ 86 მილიონი მანეთი გადასცა მთავრობას მომავალის ომისათვისაო.

—

**საფრანგეთი.** ზოლამ გაზ. „Aurore“-ში ახალი წერილი დაბეჭდა, რომელშიაც ამბობს: „მე აზრადა მქონდა გავჩუმებულიყავი იმ დრომდე,ვიდრე ახალი სასამართლო ჩემს საქმეს გაარჩევდა და უველა ის, რასაც ახლა ვიტყვი, იმ სასამართლოსთვის მეთქვა, მაგრამ ჩემ მოწინააღმდეგეთ სიმართლისა და ჭეშმარიტების დასათარავად ისეთ საშუალებასა და სიმდაბლეს მიჰმართეს, რომ გული არ მითმენს გავჩუმდე და საფრანგეთისა და მთელის ქვეყნის პატიოსან კაცებს არ გავაგებინო ის სისაძაგლე, რომელიც მათ ჩაიდინეს“. შემდეგ ზოლა ამბობს, რომ ჩემის პირველის წერილიდგან ამოიღეს მხოლოდ 15 სტრიქონი, რომლის მალითაც მე სამართალში მიმცესო. ეს იმიტომ ჩაიდინეს, რომ ჩემთვის პირი აეკრათ და ნება არ მოეცათ სიმართლის დამამტკიცებელი საბუთები წარმედგინა, რადგანაც კანონი ისეთს საბუთებს თხოულობს, რომელნიც სასამართლოს უწყებაში დასახელებულ ფაქტებს შეეხება. მაგრამ ეხლა, მეორე სასამართლომ უფრო სამარცხვინო და საზიზღარ ხერხს მიჰმართა. ამ სასამართლოს 15

სტრიქონისაც-კი შეეშინდა და იმის ნაცვლად ჩემს საბრალმდებლოდ მხოლოდ ის სამი სტრიქონი ამოიღო, სადაც ნათქვამია: „სამხედრო სასამართლომ სხვათა ბრძანებით გაამართლა ესტერგაზი და ამით უზომო შეურაცხყოფა მიაყენა სიმართლესა და ჭეშმარიტებასაო“. ეხლა ჩემი მოწინააღმდეგენი დამშვიდებულნი არიან. ეხლა მათ კარგად იციან, რომ სიტყვას არ ამოგვადებინებენ დრეიფუსისა და იმ უკანონობის შესახებ, რომლის მსხვერპლიც ის გახდა. მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს, მაგრამ ვინ იცის, იქმნება იმ სამ სტრიქონში, რომელიც მათ ამოარჩიეს, ისეთი რამ აღმოჩნდეს, რომლის შემწეობითაც შეიძლებოდეს სიმართლის აღდგენა? მე დარწმუნებული ვარ, რომ ჭეშმარიტება მაინც გაიმარჯვებს, სულ ერთია დღეს თუ ათის წლის შემდეგ და სამარცხვინო ბოძზედ მიაკრავს უკეთ იმას, ვინც სიცრუისა და მალ მომრეობის შემწეობით სიმართლის დახშვას სცდილობდაო“.

## დამაკვირდი

გახსოვდეთ, რომ არც ერთი შეურაცხება არ აჩნევს ისეთს დიდს კვალს, როგორც შეურაცხება, რომელიც მოსიყვარულე გულს მოჰხვდება.

დიკენსი

* * *

ვინც უგუნური არა ყოფილა თავისის ცხოვრების დასაწყისში მაინც, იგი ბრძენი არასოდეს არ შეიქმნება.

ჰეინე

* * *

სასოება დასდევ სულსა შინა შენსა მთად.

კათალიკოზი

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ანდრესა და მისის ამხანაგების ბედ-იღბალი თან და თან ძლიერ აწუხებს ყველა განათლებულ კაცებს ევროპაში. აგერ ცხრა თვეა, რაც ანდრე თავისის ამხანაგებით ჰაეროსტატით წავიდა შპიცბერგენიდგან ჩრდილოეთისაკენ და ეხლაც არავინ იცის, ცოცხლები არიან, თუ არა. მართალია, ამ გამბედავმა მოგზაურებმა თან წაიღეს ოთხის თვის სურსათი და გარდა ამისა იარაღიც, რომ ნადირობით შესძლებოდათ საჭმლის შოვნა, მაგრამ ჰაეროსტატის ნავის გარდა არაფერი ჰქონდათ თან და რომ დაზამთრდა, ვინ იცის, როგორ უნდა გაეტარებინათ ცივი ზამთარი ჩრდილოეთის მხარეს, ყინულებში. ჟურნალ-გაზეთები გვატყობინებენ, რომ გასულ კვირას სტოკჰოლმის საგეოგრაფიო და საანტროპოლოგიო საზოგადოების კრებამ გადასწყვიტა მისცეს ბ-ნ იოჰან სტადლინგს საკმაო ფული, რომ აზიის ჩრდილოეთის მხარეს წავიდეს ანდრესა და იმის ამხანაგების საძებნელად.

* * *

ამერიკის მწერალს ბანკრაფტს შეუდგენია ერთი წიგნი, რომელსაც სახელად ეწოდება „წიგნი სიმდიდრეთა“. წიგნი შეიცავს 1000 გვერდს, და შიგ აწერილია ყოველ გვარი შესანიშნავი შენობანი, დაწყებული სოლომონის მიერ აშენებულის ტაძრიდგან, ვიდრე ამერიკელ მილიონების პატრონების სასახლეებამდე.

წიგნს ჩართული ექმნება 2500 სურათი, საუკეთესო მხატვრების მიერ დახატული. დაიბეჭდება ეს წიგნი სულ 400 ცალად და თითო ცალი ეღირება 4000 მანათად. თურმე რამდენიმე წელიწადია, რაც ბანკრაფტი შრომობს ამ წიგნის შედგენაზე და აქამდე დაუხარჯავს წიგნის გამოცემაზედ 600,000 მანათი. ეს ძვირფასი წიგნი დაიბეჭდება ნიუ-იორკში.

* * *

ჯერ არავის სცოდნია აქამდე, რომ სამხრეთ ამერიკაში ჯუჯა-კაცები სცხოვრობენ. ცნობილმა მოგზაურმა სტენლიმ ერთხელ ჰნახა შუაგულ აფრიკაში ზანგი—ჯუჯა კაცები და დაწვრილებით აღწერა მათი გარეგნობა და ყოფა-ცხოვრება. ამ საუკუნის დასაწყისში გუმბოლტი სწერდა თავისს დღიურში: ამბობენ, რომ მდინარე ორინოკოს ხეობაში ჯუჯა ხალხი სცხოვრობს, მაგრამ მე თითონ-კი არ მინახავს და საეჭვოთაც მიმაჩნია მათი არსებობაო. პატივცემულის მეცნიერის აზრი მართალი არ გამოდგა. ამერიკელი მოგზაური სიულივანი მდინარე რიონეგრას ხეობაში შეჰხვედრია ძლიერ დაბალის ტანის ხალხს, ისეთის დაბალის ტანისას, რომ თამამად შეიძლება კაცმა ჯუჯა-ხალხი უწოდოს სახელად. სიულივანი სწერს: ეს ხალხი ჩამომავლობით ინდიელთა ტომისა უფრო უნდა იყოს, ვიდრე აფრიკისა. კანის ფერი ყვითელი აქვთ. ძლიერ გამხდრები არიან და მხოლოდ მუცელი აქვთ ძლიერ გამობერილი. ხელფეხი მეტად წვრილი აქვთ, ლერწამის სისქე. დედაკაცები უფრო მახინჯები არიან მამაკაცებზედ და კაცს შეეზარება იმათი შეხედვა. ეს ხალხი სცხოვრობს ორინოკოს ხეობაში და ნადირით იკვებება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 აპრილი

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეიმ მოისურვა შეტყობა ზოგიერთ სენატორებისაგან, რა აზრისანი არიან გავაის კუნძულების შემოერთებაზე, რაიცა, როგორც ფილიპინის კუნძულების შემოერთება, მეტად საჭიროა სამხედრო საქმისათვის.

სან-ფრანცისკოში ამბავი მოვიდა გონულოდგან, რომ იქ ხმა დადის, ამერიკის ადმირალს ებრძანა სანდვიჩევის კუნძულები დაიპყროსო.

**კივესტი.** კრეისერმა „ნიუ-იორკმა“ შეიპყრო ესპანიის სახალხო გემი „პედრო“.

**ვაშინგტონი.** ამერიკის მთავრობამ მიჰმართა დიდ-სახელმწიფოებს ცირკულიარით, რომელშიაც ნათქვამია, რა პოლიტიკას დაადგება იგი შესახებ კაპერობისა *) და ნეიტრალიტეტისა. ეს ცირკულიარი კმასაყოფილად მიაჩნიათ დიდ სახელმწიფოებს, რადგანაც ეს პირველი საშუალებაა იმის წინააღმდეგ, რომ ისპანიამ კაპერების ხმარებას თავი დაანებოს.

ჰფიქრობენ, რომ ამერიკა გავაის კუნძულებზე მხოლოდ ქვისნახშირის საწყობებს გამართავს და სულაც არა აქვს განზრახვა ამ კუნძულების შემოერთებისა.

მაკ-კინლეი გადაჭრით უარზეა ჰავანნის კუნძულისათვის ზარბაზნების დაშენისა და სხვა საშუალებისაც ესპანელთა წინაალმდეგ.

**ანტვერპენი.** ესპანიის გემმა შეიპყრო ინგლისის ნაპირებთან ამერიკის ოთხ ანძიანი გემი, რომელსაც სან-ფრანცისკოდგან ლივერპულში პური მიჰქონდა.

**კივესტი.** სამხედრო გემი წავიდა კუბას სამხრეთ ნაპირისაკენ, რომ ამ კუნძულსა და ესპანიას შორის ტელეგრაფი მოშალოს.

**პეტერბურგი.** მთავარ-მმართველი კანცელარიისა, რომელსაც მინდობილი აქვს მიღება თხოვნებისა ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზედ, უკვე შეუდგა ამ თანამდებობის ასრულებას.

**მადრიდი.** რადგანაც ყველა პოლიტიკურ დასების მეთაურები ლიბერალურ კომიტეტის მომხრენი აღმოჩნდნენ, დედოფალმა საგასტას კვლავ განუცხადა თავისი ნდობა და ჩააბარა საქმეთა მმართველობა. არავის აღარა აქვს ფიქრი, რომ სამინისტრო კრიზისი მოხდეს.

**ვაშინგტონი.** წარმომადგენელთა პალატა. სამხედრო კომისიის თავმჯდომარე გული იუწყება, რომ გენერალ მაილსს განზრახვა აქვს გადმოსხას კუბას კუნძულზე ჯარი, როდესაც ეს შესაძლებელი შეიქმნება. საჭიროა 6 ან 8 კვირა, ვიდრე თავის ნებით ჯარში გასულნი შეიარაღებულნი იქმნებიან.

მაკ-კინლეი ორშაბათს წარუდგენს კონგრესს მოხსენებას და ფორმალურად სთხოვს ომის გამოცხადებას. ომის გამოცხადების მიზეზად ის იქმნება გამოცხადებული, რომ ესპანიამ თავისის მოქმედებით უკვე გამოაცხადა ომიო.

**მადრიდი.** იუწყებიან, რომ ესპანიის სამხედრო გემებს გუშინ შეეძლოთ შეეპყრათ ამერიკის ორი გემი, მაგრამ არ მოიქცნენ ასე, რადგანაც ჯერ ომი არ არის გამოცხადებული და ესპანია მტკიცედ ადგია საერთაშორისო უფლებათა ასრულებას, რომელსაც ამერიკა უარ ჰყოფს.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა გამოსცა მოწოდება 125,000 კაცის თავის ნებით ჯარში გასაყვანად ორის წლის ვადით, თუ ვინიცობაა ამაზედ ადრე არ იქმნებიან დათხოვნილნი.

შერმანის გადადგომა სამსახურიდგან თითქმის გათავებულ საქმედ ითვლება. იმის ადგილს დაიჭერს მისი ამხანაგი დეი.

გემის „პედროს“ გარდა კრეისერი „ნიუ-იორკი“ ზარბაზნებს ესროდა აგრეთვე მეორე გემსაც, რომელიც შეიპყრო. გემი გერმანიისა აღმოჩნდა და ამიტომ ნება მისცეს წასვლისა.

13 აპრილი

**გავანნა.** ფორტ-მორორსმ ზარბაზნები დაუშინა ამერიკის გემებს. არავითარი ზარალი არ მისვლიათ. ამერიკის ესკადრამ ამაზე პასუხი არ გასცა.

**გონგკონგი.** ამერიკის ესკადრის ხუთი გემი გამოვიდნენ აქედგან საიდუმლო ბრძანებით.

**კიმესტი.** ამერიკის გემი კუბას კუნძულთან რამდენსამე ნაწილად გაიყო: ორი გემი წავიდა დასავლეთისაკენ; ორი გემი კიდევ—აღმოსავლეთისაკენ, დანარჩენმა ფლოტმა ალყა შემოარტყა გავანნას.

**ნიუ-იორკი.** ბრძანებაა გაცემული ნაღმები ჩაჰყარეთ ზოგიერთ ნავთსადგურის ქვეშაო, მაგრამ არავინ იცის სადა. ნაღმები ისეთ ადგილას იქმნება ჩაყრილი, რომ მეგობარ სახელმწიფოებს არავითარი შიში არ ექმნებათ.

**ლონდონი.** ამომრჩეველთა წინაშე ბალფურმ წარმოსთქვა სიტყვა და სთქვა, რომ შემდეგის არჩევნების დროს საქმე შეეხება ბრძოლას რესპუბლიკის არსებობისათვის კი არა, იმ რესპუბლიკისა, რომელსაც არავითარი შიში არ მოელით. არამედ ბრძოლას, რომელიც მოელის ორს პროგრამას. საჭიროა არჩევანები სიებით, რომლის შედეგი იქმნება უმრავლესობა და რომელიც შექმნის მთავრობას ერთგვარს, საფუძვლიანს, რომელსაც ექმნება ძლიერება.

**ბელგრადი.** პაშიჩს მელინის შეურაცხყოფისათვის დიდი შიში მოელის. მისის ბრალდების მიზეზად დასახელებულია პანიჩის მოხსენება, რომელშიაც ნათქვამია, რომ იგი უარსა ჰყოფს ვითომ იგი მოქმედებდა მაკედონიაში წინააღმდეგ სერბიის ინტერესებისა და ამასთანავე სთქვა, რომ 1885 წელს იგი მელინის წინააღმდეგი იყო.

*) კაპერი კერძო გემსა ჰქვიან, რომელსაც მთავრობა ხმარობს ომის დროს მტრის გემის დასაჭერად.

### წერილი რედაქციის მიმართ

დიდს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნს ივანე კონსტანტინეს ძეს მგალობლიშვილს, რომელმაც საკუთარის სასყიდლით გამოუწერა ერთის წლით ჟურნალი „მოამბე“ ბახვის უფასო სამკითხველოს. აგრეთვე დიდად ვმადლობთ რედაქციებს: „ივერიისას“, „Кавказъ“-ისას, „კვალისას“ და „ცნობის-ფურცლისას“, რომლებიც უსასყიდლოდ უგზავნიან თავიანთ გამოცემას ამ სამკითხველოს.

ბახვის უფასო სამკითხველოს გამგე


## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 22 ამ აპრილს, იმისის თანადასწრებით, ნაშუადღევის პირველ საათზედ, დანიშნულია უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა ერევნის მოედანზედ მყოფ ქალაქის სახლის **დუქნებისა და სარდაფების იჯარით გაცემისა**

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობაში ყოველ-დღე, უქმე დღეების გარდა, 12 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6.—1)

[illegible] ნეჩვები
იყიდება
[illegible]
ძ. სვანიძის და მ. 3. სანაძის ამერუშუმის ქარხანაში.
(5—62—5)

**ცნობილ ფაბრიკების**



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

**музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.**

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—6.—4)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შმდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | » | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| წყარო არ. ქუთათელაძისა I წიგნი . . . . . | „ | 40 |
| წყარო წიგნი II მისივე . | „ | 50 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . | 3 | . |


Дозволено цензурою, Тифлисъ 13-го Апрѣля 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.